გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ერთად ვფარავთ სიკეთესა და სიყვარულს!

აგროსერვის ცენტრის გაზეთი

ვაღლეკარი

WWW.AGROSC.GE

№5(24) დეკემბერი, 2015 წელი

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ზაურ ფუტკარაძე გილოცავთ!

დამდეგი შობა-ახალი წელი მინდა მთელს ჩემს ქვეყანას, ყველა მის მეგობარ-გულშემატკივარსა და კეთილმოსურნეს, ქართული აგროსექტორის ყველა მუშაკსა და მათ ოჯახის წვრეს მივულოცო. ეს წელი ყოფილიყოს მშვიდობის, გამთლიანების, გაძლიერებისა და კეთილდღეობის. ჩვენი ქვეყნის სახელი „გეორგია" დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან, დაე, ეს არა მხოლოდ სიტყვით, საქმითაც დამტკიცებულიყოს. თითოეულ მოქალაქეს ვუსურვებ ჯანმრთელობას, გახსოვდეთ, რომ დაავადებას ექიმი და წამალი 7-8 %-ით კურნავს, ხოლო ჯანსაღი მეურნეობა და ჯანსაღი კვება, კი 60%-მდე. სოფლის მეურნეობის განვითარება მარტო იმპორტ-ექსპორტთან არაა დაკავშირებული, ეს ყოველივე პირდაპირ კავშირშია ჩვენს ჯანმრთელობასთან.

2015 წელი ჩვენი სამინისტროსთვის და მთლიანად რეგიონისთვის ძალიან წარმატებული იყო. რეგიონში სამინისტროს მხრიდან სამი პროგრამა და 10 ქვეპროგრამა განხორციელდა, თითოეულმა მათგანმა გარკვეული შედეგი გამოიღო. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მცირე მექანიზაციის გამოყენებისა და დანერგვის ტექნოლოგიები.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„ENPARD AJARA" გილოცავთ!

უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყელა იმ ადამიანს, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ მთელი წლის განმავლობაში. ახალი წლის მილოცვას დავიწყებ ჩვენი ძვირფასი ფერმერებით, რომლებისთვისაც ვმუშაობთ და ვშრომობთ. მათი თითოეული წარმატება ჩვენთვის სიხარულისა და სტიმულის მომცემია. ახალი წელი მინდა მივულოცო აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" თანამშრომლებს, რომლებთანაც ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს. მადლობას ვუხდი მათ სერიოზული და ნაყოფიერი შრომისთვის. შობა-ახალ წელს გილოცავთ ყველას, ჩვენს კუთხეს, ქალაქს და სრულიად საქართველოს. ეს წელი სურვილების ასრულების და ბევრი კარგის მომტანი ყოფილიყოს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„ნარინჯისფერი რთველი" დასასრულს უახლოვდება

4

2015 წლის „ოქროს რთველი" დასასრულს უახლოვდება. საპროგნოზო მონაცემებით მოსალოდნელი მოსავალი 80-90 ათასი ტონის ფარგლებში განისაზღვრა. საექსპორტო ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი ციტრუსის მიწოდების მიზნით 30-მდე შემფუთავი საწარმო მოქმედებს, სადაც ხდება პლასტმასის, მუყაოსა და შპონის (ხის) ტარაში პროდუქციის შეფუთვა, პალეტებად შეკვრა და ექსპორტირება. აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წელს, ციტრუსის სეზონს კიდევ რამოდენიმე საწარმო შეემატა, სადაც შესაძლებელია ციტრუსის პარაფირება, რომელიც მინიმუმ ერთი თვით ახანგრძლივებს რეალიზაციის პროცესს.

„აგროსერვის ცენტრი" გილოცავთ ახალ წელს!

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს. ჩემს ქვეყანას 2016 წელს მინდა მშვიდობა, გამთლიანება, ეკონომიკური აღმავლობა და ყველაფერი ამის საწინდარი – ერთობა ვუსურვო. 2016 წელი თითოეული ქართველისთვის წარმატებისა და სიუხვის მომტანი ყოფილოყოს.

„აგროსერვის ცენტრი" გაეროსა და ევროკავშირის დონორული დახმარებითა და ხელშეწყობით ახორციელებს იმ პროექტებს, რომლებმაც განახლებული ქართული სოფლისა და ქვეყნის აგროსექტორის საფუძველი უნდა შექმნან. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი, რთული და საპასუხისმგებლო მისია გახლავთ. ჩვენი მიზანია სოფლად ცხოვრება და აგროსექტორში საქმიანობა, ეკონომიკურად გამართლებული იყოს. უნდა ვაწარმოოთ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, ისეთი, რომელიც ღირსეულად დაიმკვიდრებს ადგილს მსოფლიო ბაზარზე. ჩვენს მიერ განხორციელებული პროგრამები კი, სწორედ ამ საკითხებს ეხება.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მედიატური ციტრუსის სეზონის მზადებასთან დაკავშირებით

4

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, ევროკავშირის პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, აჭარის რეგიონში მედიატური გაიმართა. ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ ადგილზე გაცნობოდნენ ციტრუსის მოვლა-შენახვის მეთოდებს, მანდარინის გადამუშავებისა და რეალიზაციის პროცესებს. ქობულეთის მუნიციპალიტეტში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრში" ჟურნალისტებმა მარწყვისა და ტკბილი წიწაკის სასათბურე და ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობა დაათვალიერეს.

„აგროსერვის ცენტრი“ გილოცავთ ახალ წელს!

დასაწყისი პირველ გვერდზე

2015 წელი ნაყოფიერი იყო „აგროსერვის ცენტრისთვის“. ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, რასაც არა მარტო ჩვენ, არამედ თითოეული ის ადამიანი ხედავს, რომელიც ამ საქმეშია ჩართული. განვახორციელით არაერთი პროექტი, რომლებიც რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა პროდუქტების წარმოების განვითარებისკენ იყო მიმართული: გვქონდა მარწყვისა და ბულგარული წიწაკის სადემონსტრაციო სათბურები. ამ კუთხით ფერმერების დაინტერესება დიდი იყო. ყოველდღიურად მოდიოდნენ ჩვენთან და სხვადასხვა სახის ინფორმაციას ღებულობდნენ იმისათვის, რომ მათი კვალიფიკაცია აგვემაღლებინა, უცხოეთიდან ჩამოვიყვანეთ ტრენერები, რომლებმაც თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს მათ. ამ საინფორმაციო შეხვედრებით, ფერმერები მხოლოდ ბოსტნეულის მოვლა-პატრონობას კი არ გაეცნენ, არამედ მათ მიეწოდათ მაქსიმალური ინფორმცია პროდუქციის გასაღების კუთხითაც. ფერმერი ყოველთვის ფიქრობს, ვაწარმოებ, მაგრამ სად წავიღო?! ამ პრობლემის გადასაჭრელად მაქსიმალურად ვცდილობთ მათ დახმარებას. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ფერმერებმა ბევრი რამ გადაიღეს ჩვენგან და საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებში დანერგეს.

წელს დავიწყეთ ღვინის სახლის მშენებლობა, რომელიც მალე უმასპინძლებს ვიზიტორებსა და ტურისტებს. ღვინის სახლის დიდი ნაწილი განკუთვნილი იქნება მარანისთვის, რომლის მთავარი დანიშნულებაც ძველი ქართული წესით ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიის აღორძინება და მისი პოპულარიზაცია იქნება. აქვე განთავსდება ღვინის ტექნოლოგიური მინი-საწარმო, რომელიც აღიჭურვება ღვინის წარმოებისათვის საჭირო უახლესი ტექნოლოგიური დანადგარებით. ფერმერებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ „აგროსერვის ცენტრის“ ღვინის ტექნოლოგიური ხაზით და სურვილის შემთხვევაში ადგილზე ჩამოასხან ოჯახში დამზადებული ღვინო. ღვინის სახლის ერთ-ერთი ძირითადი სივრცე იქნება მრავალფუნქციური საგამოფენო დარბაზი, სადაც კოოპერატივების, კერძო ფირმებისა და საოჯახო მეურნეობებში დამზადებული ღვინისა და კვების პროდუქტების წარმოჩენის მიზნით აგროგამოფენები გაიმართება. დარბაზში ღვინის სხვადასხვა სახეობების გვერდით გამოფენილი იქნება რეგიონში წარმოებული ჩაისა და თაფლის პროდუქციაც. ეს დაეხმარება ფერმერებს პროდუქციის რეკლამირებასა და რეალიზაციაში. ღვინის სახლის, ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე დაიგეგმება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფესტივალები. მაგალითად, ღვინის ფესტივალი, თაფლის ფესტივალი და მსგავსი ღონისძიებები. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს აგროტურიზმსაც. ვფიქრობ, ტურისტების დაინტერესება ამ კუთხით დიდი იქნება. სწორედ აგროტურიზმის განვითარების მიზნით, სამხრეთ იტალიაში ვიმყოფებოდი, რომლის რელიეფური მდგომარეობა მსგავსია აჭარისა. მათ ძირითადი აქცენტი მთის ტურიზმზე აქვთ გაკეთებული. ჩვენთანაც არის ამის შესაძლებლობა. არა ერთი ადგილი გაგვაჩნია სამთო ტურიზმისთვის, რომლებსაც განვითარება აკლია. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის მხოლოდ მოსვლის მოყვანა და გასაღება არ კმარა, თანაც ჩვენი რეგიონი მცირე მიწიანია. მართალია, აჭარაში ყველაზე დიდი რაოდენობით ციტრუსს ვაწარმოებთ, მაგრამ კონკურენციას ვერ ვუწევთ ისეთ ქვეყანას, როგორიცაა თურქეთი. სწორედ ამიტომ, აგროტურიზმის განვითარება, ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა რეგიონისთვის.

როდესაც 2015 წლის მიმოხილვას ვაკეთებთ, გვერდს ვერ ავუვლით სხვადასხვა სანერგეების ჯიშებს, რომლებიც უცხოეთიდან იქნა შემოტანილი. გაშენდა კენკროვანი კულტურები: მაყვალი, ჟოლო, მოცხარი, ლურჯი მოცვი, მარწყვი. სამინისტროს მიერ კაკლისა და თხილის ნერგები გადაეცათ ფერმერებს. აღსანიშნავია საადრეო ციტრუსის ნერგებიც, რომლებზეც ძალიან დიდი მოთხოვა იყო. ჩვენ ვცდილობთ სიახლე შევთავაზოთ ფერმერს, რომელიც მათ უკეთესი მოსავლის მიღების გარანტს მისცემს. საადრეო ჯიშის ციტრუსი იმით არის უპირატესი, რომ ბაზარზე შედის პირველი და კონკურენტუნარიანია. განვახორციელეთ ნივრის პროგრამა-შევარჩიეთ შვიდი ფერმერი და მოვაწყვეთ სადემონსტრაციო ნაკვეთები. აქცენტი გავაკეთეთ მაღალმთიან რეგიონებზე. ეს არის მაღალი შემოსავლაინი პროდუქტი, რომელზეც მოთხოვნა, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთშიც დიდია. გვქონდა საინტერესო ბაზრის კვლევაც, მოსახლეობას ვაწვდიდით ინფორმაციას ფასების შესახებ, რომლებიც SMS შეტყობინებებზე იყო მიბმული. მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ჩვენს სანერგე მეურნეობაში. შემოტანილ ჯიშებზე მიმდინარეობდა მეცნიერული დაკვირვება. კიდევ, ერთი საინტერესო კვლევა ჩავატარეთ, რომელიც მექანიზაციის საშუალებებს ეხებოდა. ოთხ მუნიციპალიტეტში აღვწერეთ და შევისწავლეთ ფერმერთა მფლობელობაში არსებული მცირე და მძიმე ტექნიკა. ჩვენ უკვე გვაქვს ინფორმაცია, რა მდგომარეობაშია ფერმერების ეს ტექნიკა და რა სჭირდებათ ამ ადამიანებს მათი სერვისული მომსახურებისათვის.

აღსანიშნავია, „ენპარდ აჭარას“ დიდი როლი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობ პროგრამებში. მათი მხრიდან გვქონდა დაფინანსება. შევიძინეთ 14 ინკუბატორი, 16 წიწილების გამოსაზრდელი გალია, სხვადასხვა ტექნიკა, სკები, თითოეული მათგანი გადავეცით ფერმერებსა და კოოპერატივებს. დავბეჭდეთ სხვადასხვა სახის სიანფორმაციო ბუკლეტი, გამოვეცით წიგნებიც.

საერთო ჯამში ბევრი რამ გაკეთდა. ჩვენ გვიხდებოდა ფიზიკური შრომა. ჩამოთვალო რა გააკეთე მარტივია, მაგრამ მის უკან რაც არის, ეს დიდი შრომის შედეგია. როცა მიწასთან გაქვს შეხება, არ ჩანს გაკეთებული საქმე კარგად. დავრგეთ ხე, მაგრამ მის დარგვამდე რა საჭირო ღონისძიებები გავატარეთ, უკანა პლანზე დარჩა. თითოეული განხორციელებული პროგრამა დიდი შრომის ფასად გვიჯდება. ამ ყოველივეს ვაკეთებ არამხოლოდ მე, არამედ ის დიდი გუნდი, რომელსაც „აგროსერვის ცენტრის“ კოლექტივი ჰქვია. ყოველ წარმატებით გაკეთებულ საქმეში, თითოეული თანამშრომლის როლი დიდია. ჩვენ ერთად მივედით ამ შედეგებამდე.

„აგროსერვის ცენტრში“ კენკროვანი კულტურები გაშენდა

„აგროსერვის ცენტრის“ ვაზისა და ხეხილის სანერგე მეურნეობაში ბელორუსიიდან შემოტანილი კენკროვანი კულტურების გაშენება დამთავრდა. ნერგების დარგვის პროცესში აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ავთანდილ მესხიძეც მონაწილეობდა. სულ, სანერგე მეურნეობაში 10 სახეობის, 46 ჯიშის 3500 ძირი კენკროვანი კულტურები გაშენდა, რომელიც „აგროსერვის ცენტრმა“ ბელორუსიის რესპუბლიკის მეხილეობის ინსტიტუტისგან შეიძინა. აკლიმატიზაციისა და ადაპტაციის გავლის შემდეგ იგეგმება მოცვის, ჟოლოს, მოცხარის, მაყვალისა და სხვა კენკროვნების ნერგების გამრავლება და რეგიონში გავრცელება. რეგიონში, კენკროვან კულტურებზე დიდი მოთხოვნაა, თუმცა აქამდე არ არსებობდა შესაბამისი სანერგე, სადაც მათი შეძენა იქნებოდა შესაძლებელი. სწორედ, ამ მიზნით გაშენდა „აგროსერვის ცენტრში“ კენკროვანი კულტურები.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ზაურ ფუტკარაძე გილოცავთ!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ჩვენი რეგიონის 95% მთაგორიანია, ამიტომ მნიშვნელოვანია მცირე მექანიზაციის გამოყენება, შესაბამის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებთან ერთად.

2013 წელს, როცა მუშაობა დავიწყეთ, რეგიონში გამწევ ძალად 1600-ზე ცოტა მეტი ხარი გამოიყენებოდა. დღეისთვის ეს საქმიანობა მექანაიზაციაზე გადასული. ყოველ წელს ვცდილობთ, სიახლეების დანერგვას და ტექნოლოგიური მიმართულებთ განვითარებას. ამ მხრივ, შესყიდული იქნა 411 ერთეული მრავალფუნქციური მოტობილიკი და 77 ერთეული მისაბმელი ურიკა, რომლებიც რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის ფერმერებს დაურიგდათ თანადაფინანსების ფარგლებში. გვქონდა საინტერესო პროგრამა მრავალწლოვანი ხეხილოვანი ნარგავებით ფერმერთა უზრუნველყოფის შესახებ. მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგ, ის ფართობები, რომლებიც თამბაქოსა და კარტოფილის მოსაყვანად გამოიყენებოდა, ახლა უკვე გატყევების პირზეა, ან არ გამოიყენება დანიშნულების მიხედვით. ამიტომ, ფერმერებს გადავეცით, ამერიკული კაკლის 10 100, მოცვის 10 500 და თხილის 32 000 ნერგები. ეს ჯიშები იქნება უხვმოსავლაინი, რაც ფერმერის შემოსავალს მნიშვნელოვნად გაზრდის. მეფუტკრეობის განვითარების ფარგლებში, კოოპერატივიებს სკები და თაფლის საწური აპარატები დავურიგეთ. ჩვენთან, სასათბურე მეურნეობა ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩავატარეთ. ბოსტნეული კულტურების წარმოებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით ფერმერებს დაურიგდათ 250 ერთეული მარტივი ტიპის სასათბურე კონსტრუქცია. ჩვენი მიზანია, რა ფართობებიც გვაქვს მაქსიმალურიად იყოს ათვისებული. იმისთვის, რომ ხარისხიანი პროდუქცია ვაწარმოოთ კლიმატური პირობები უნიკალური გავქვს, დაწყებული ზღვით, დამთავრებული ალპური მდელოებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ევროკავშირისა და გაეროს მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამები. მესამე წელია მათთან ერთად წარმატებით ვახორციელებთ სხვადასხვა პროექტებს. ძირითადი მიმართულება ექსტენციის კუთხით გვაქვს აღებული. ხელოვნური განაყოფიერეიბის მიმართულებით, საკმაოდ წარმატებულები ვართ, ანალოგიურადაა ვითარებაა მეფუტკრეობისა და მეფრინველეობის დარგშიც.

აჭარაში ერთ-ერთი მთავარი საკითხი ციტურისის სეზონია. წინა წლებში სწორად განსაზღვრულმა მიმართულებებმა უზრუნველყო 2015 წლის „ნარინჯისფერი რთველის" წარმატება. ვგულისხმობ იმას, რომ თავის დროზე ჩვენ ფერმერებს გადავეცით კომუნისტების დროიდან მოყოლებული, დანგრეული, უვარგისი საწარმოები. ახლა კი, ისინი წამყავნი საწარმოებია რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს 40 000-ზე მეტი თივის პრესი დამზადდა, რომელიც ისტორიის მანძილზე არასდროს ყოფილა. 2015 წელს გაიხსნა რამდენიმე საწარმო. დაემატა სამაცივრე მეურნეობები, რომლებიც ბუნებრივია ხელს შეუწყობს, არა მარტო ციტრუსის, არამედ სხვა კულტურების შენახვასაც. გაეროს დახმარებით ბევრი პროგრამა იქნა განხორციელებული: დატრეინინგების, სწავლებისა თუ კონსულტაციების თვალსაზრისით. გავქვს საცდელი-სადემონსტრაციო ნაკვეთები, რეგიონში შეიქმნა მეორე დონის კოოპერატივები. ექსტენციის მიამრთულებით მზად არის ელექტრონული პროგრამა, რომელიც მთლიან ისტორიას ასახავს ფერმერისა.

ჩვენი მიზანი გახლავთ, მაქსიმალურად მივიტანოთ სიახლეები ფერმერებამდე და დავნერგოთ ისინი ჩვენს რეგიონში, რათა სოფლის მეურნეობა იყოს წარმატებული. „ენპარდ აჭარასთან" ერთად, პირველი ეტაპი წარმატებით გავიარეთ და მზად ვართ იმისათვის, რომ გადავიდეთ შემდეგ საფეხურზე, რომელიც ხელს შეუწყობს არამარტო სოფლის მეურნეობას, არამედე მთლიანად სოფლის განვითრებას. ბუნებივია ამ ყელაფერში აქტიურადაა ჩარული საქართველოს სოფლის მეურენობის სამინისტრო.

მოგეხსნებათ სოფლის მეურნეობა რთული დარგია. მყისიერი შედეგისთვის სწორად დაგეგმარებაა საჭირო. ჩვენ მალე გამოვცემთ წიგნს, სადაც იქნება თავმოყრილი 2013 წლიდან, 2016 წლამდე ყველა ჩატარებული სამუშაო, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ჩატარდა.

მინდა, მთელ ქვეყანას მივულოცო საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხი. გვინდა, მუშაობა გავააქტიუროთ ევროკავშირის ქვეყნებთან და უფრო მეტი გამოცდილება მივიღოთ მათგან.

„ENPARD AJARA" გილოცავთ!

დასაწყისი პირველ გვერდზე

2015 წელს შევაფასებდი, როგორც ძალიან წარმატებულ წელს. რა მაძლევს საფუძველს 2015, როგორც ძალიან წარმატებული წელი შევაფასო? უპირველეს ყოვლისა, ეს არის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მოდელი, რომელიც შევქმენით აჭარაში. ეს ყოველივე, როგორც ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე ყველა დონორი ორგანიზაციის მიერაა აღიარებული, როგორც სამაგალითო, იგეგმება ამ დადებითი და კარგი გამცოდილების გადატანა ქვეყნის სხვა რეგიონებში. საქართველოს თითოეული რეგიონი განსხვავებულია სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით და ის, რაც აჭარაშია არ ნიშნავს, რომ სხვა რეგიონებში იგივე გაკეთდეს. უბრალოდ, ისინი დაეყრდნობიან იმ გამოცდილებასა და მოდელს, რაც ჩვენ დავუდეთ საფუძვლად. ეს არის ყველაზე დიდი გამარჯვება, რაც შეიძლებოდა ორი წლის განმავლობაში პროექტს მოეტანა. ამ პერიოდში დაფინანსდა 60-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. დაახლოებით ნახევარ მილიონ ევროზე მეტი ღირებულების სხვადასხვა ტიპის სამეურნეო საშუალებები გადაეცათ ფერმერებს, თანადაფინანსების პრინცპით. მნიშვნელოვანი სამუშაობები ჩატარდა სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სწორად განსაზღვრისათვის რეგიონულ დონეზე. ბევრი საინტერესო კვლევა მომზადდა, რომელიც რეალურ შედეგს მოიტანს შემდგომ პერიოდებში. ჩვენ პირველებმა შევქმენით ექსტენციის სფეროში და არა მარტო, სასოფლო-სამეურნეო პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც არის უნიკალური და საუბარია საქართველოს მასშტაბით მეურნეობის მასში ჩართვაზე. მიმაჩნია, რომ 2015 წელი დახუნძლული იყო კარგი შედეგებით, წარმატებული თანამშრომლობის კუთხითაც.

სამომავლოდ, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" პროექტი გრძელდება, 2016 წლის აპრილამდე. შემდეგ დაგეგმილი გავქვს ორი მნიშვნელოვანი პროგრამა, რომლებზეც მათი განხორიცელების შემდეგ ვისაუბრებთ.

„ნარინჯისფერი რთველი“ მთავრდება

დასაწყისი პირველ გვერდზე



მანდარინის ორგანიზებულად ჩაბარების მიზნით, ბათუმში ამოქმედდა საკოორდინაციო შტაბი. გასულ წელთან შედარებით ციტრუსის სეზონზე არა ერთი სიახლეა, მათ შორის კვირაში ერთხელ მუშაობს საზღვაო გადაზიდვები ბათუმი ნოვორასისკის მიმართულებით. სტანდარტული მანდარინის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი (78,83% – 7387 ტონა), უკრაინა (12,95% – 1202 ტონა), სომხეთი (4,27% – 396 ტონა), აზერბაიჯანი (1,52% – 141 ტონა), ყაზახეთი (1,40% – 130 ტონა), ბელორუსია (0,87%-81 ტონა), სხვა ქვეყნები (0,16%-15 ტონა). 2015 წლის 1 ნოემბრიდან შექმნილია ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის საკოორდინაციო შტაბი, ფუნქციონირებს ცხელი ხაზი – ტელ. 2470101 და ოფიციალური ვებ გვერდი www.apma.ge, სადაც ონლაინ რეჟიმშია შესაძლებელი ციტრუსის რეალიზების პროცესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება.

როგორია ციტრუსის რეალიზაციის ამჟამინდელ მდგომარეობაზე, არასტანდარტული მანდარინის რეალიზაციის ხელშემწყობი ჯგუფის ხელმძღვანელს *დავით უმეკაშვილს* ვესაუბრეთ.

– „ნარინჯისფერი რთველი“ დასკვნით ეტაპს უახლოვდება. რა მდგომარეობაა ამ დროისთვის?

– მიმდინარე წლის „ნარინჯისფერი რთველის“ მდგომარეობა გადამწყვეტ ფაზაშია. შტაბი მუშაობს 24 სააათის განმავლობაში, ჩვენ ვფლობთ ოპერატიულ ინფორმაციას როგორც ექსპორტის შესახებ, ასევე ყველა პრობელმისა, თუ რაიმე არსებობს ამ სფერში. პრობლემები არის ტექნიკური ხასიათის, რომელიც არაა მასშტაბური. ის არ უქმნის პრობლემას, როგორც გადამზიდავ კომპანიას, ასევე ჩამბარებელს. ნამდვილად აღსანიშნავია, რომ წლევანდელი რთველი ყველაზე ნაკლებად პრობლემურია. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალიან წარმატებული წელია. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობდით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და ყველა ორგანიზაციასთან. ნაწილობრივ ჩვენმა მჭიდრო კავშირმა განაპირობა ეს წარმატებაც. წელს 6 კომპანიაა ჩართული არასტანდარტული ციტრუსის გადამუშავებაში, შარშან ოთხი იყო. ეს ქარხნები გარდა აჭარისა, მდებარეობს გორში და ამბროლაურში. მანდარინის რეალიზაცია 100%-ით ხორციელდება. ის არასტადნარტული მანდარინი, რომელიც გლეხს გაუსაღებელი რჩება, იბარებენ სამრეწველო გადამუშავებისთვის, შესაბამისად არც ერთი მხარე არ ზარალდება.

– შარშანდელთან შედარებით ექსპორტი როგორია?

– ამ ეტაპისთვის ექსპორტი გაზრდილია. ჩვენ ვებ-გვერდს ყოველდღიურად ვაახლებთ და მაქსიმალურ ინფორმაციას ვაწვდით დაინტერესებულ პირებს, როგორც ექსპორტზე, ასევე არასტანდარტული მანდარინის გადამუშავებაზე. ნავარაუდებია, რომ წელს მოსავალი, შარშანდელთან შედარებით 25%-ით მეტი იქნება. დამატებულია გემი რუსეთის მიმართულებით. თუ იქნება მოთხოვნა, კიდევ არის შესაძლებელი რეისების დამატებისა. ამ კუთხითაც ვართ დაზღვეულები. მთავარია იყოს მოთხოვნა, რაც ამ ეტაპისთვის ძალიან დიდია. წინა წელს, ოფიციალური მონაცემებით 22000 ტონა ციტრუსის ექსპორტი განხორციელდა, ხოლო გადამუშავდა 10358 ტონა არასტანდარტული მანდარინი. ეს პროცესი გრძელდება პირველ თებერვლამდე, ამიტომ საბოლოო შედეგზე ჯერ ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ ამ ეტაპისთვის ექსპორტირებულია 21460,33 ტონა და გადამუშავებულია 5292,1 ტონა.

– ფასები როგორია?

– ფასები ძალიან ცვალებადი იყო, ვიდრე, რთველი აქტიურ ფაზაში შევიდოდა. ზოგადად 50-60 თეთრამდე მერყებოდა, ხარისხიდან გამომდინარე. დეკემბრის პირველი რიცხვეში 20-25 თეთრით გაიზარდა ჩვენ ფასებთან შეხება არ გვაქვს, ამას ბაზარი არეგულირებს. ეს, უბრალოდ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციაა.

საერთაშორისო კონგრესი, თემაზე „ქართული ნიორი მსოფლიოს“

ბათუმში ჩატარდა II საერთაშორისო კონგრესი თემაზე: „ქართული ნიორი მსოფლიოს“, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ მსოფლიოს 30 წამყვანი ქვეყნის მეწარმეები და მეცნიერ მუშაკები. კონგრესი სიტყვით გახსნა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაურ ფუტკარაძემ. შეხვედრაზე მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი ქვეყნის გამოცდილება ნივრის კულტურის ახალი ჯიშების შერჩევის, წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში. კონგრესი მიზნად ისახავდა საქართველოსთვის საერთაშორისო კავშირების გაფართოებასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით გასვლას საერთაშორისო ბაზარზე.

ღონისძიება ორ დღეს გაგრძელდა და მას 70-მდე ადამიანი დაესწრო ისეთი ქვეყნების სამეცნიერო უნივერსიტეტებისა და ბიზნესს სექტორის წარმომადგენლებიდან, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია, ინგლისი, ესპანეთი, საფრანგეთი, ნორვეგია, კანადა და სხვა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრისა და სხვა სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ნივრის ახალი, პერსპექტიული და მომგებიანი ჯიშების გაშენებისა და დანერგვის მიზნით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე დაიწყო მუშაობა. მიმდინარე წლის ნოემბერში, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრმა“ „ენპარდ აჭარა“-ს პროგრამის ფარგლებში ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტში 7 ფერმერს უსასყიდლოდ გაუშენა ნივრის სადემონსტრაციო ნაკვეთები, რათა ადგილობრივმა ფერმერებმა შემდგომში დანერგონ ამ კულტურის გაშენების პერსპექტივა საკუთარ ფერმერულ მეურნეობებში. იმავდროულად სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყვნენ საკუთარი სათესლე მასალით.

მედია ტური ციტრუსის სეზონთან დაკავშირებით

დასაწყისი პირველ გვერდზე

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ზაურ ფუტკარაძემ მედიის წარმომადგენლებს რეგიონში სოფლის მეურნეობის მიმართულებით მიმდინარე და განხორციელებული პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში „ENPARD აჭარას“ პროექტის მენეჯერმა, ლაშა კომახიძემ ჟურნალისტებს გააცნო მომსახურების ის მიმართულებები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფუძნებასა და პროდუქციის წარმოება-გასაღებას უწყობს ხელს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ მედიის წარმომადგენლებთან ერთად ქობულეთში ციტრუსის დამხარისხებელ-შემფუთავი და ტარის მწარმოებელი საწარმო შპს.TCF GEORGIA და არასტანდარტული ციტრუსის საკონსერვო ქარხნა „Giam group“ დათვალიერა. სადემონსტრაციო მეურნეობების, ექსტენციის ცენტრისა და ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების დათვალიერების შემდეგ, ჟურნალისტები ბათუმის პორტში, ბორანზე ციტრუსის ჩატვირთვის პროცესს გაეცნენ. მედიატურის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ზაურ ფუტკარაძემ და ციტრუსის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელმა, დავით უმეკაშვილმა პრესკონფერენცია გამართეს და ჟურნალისტებს ციტრუსის სეზონის მიმდინარეობის ანგარიში გააცნეს.

მკითხველის აზრი ჩვენთვის უმთავრესია!
მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ თქვენთვის საინტერესო თემები და წინადადებები ქვემოთ მითითებულ მისამართზე:
საქართველო, ბათუმი (6010)
გოგებაშვილის 46ა
ელ.ფოსტა:
agrocervice.centre@yahoo.com
ტელ.: 592 100 829

WWW.AGROSC.GE
გაზეთი გამოდის ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის „ENPARD Ajara – სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ ხელშეწყობით
გაზეთში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ გამოხატავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა შპს „გაზეთი საქართველოს მაცნეში“